



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი**

**2020 წლის 26 ივნისი**

**დისციპლინური საქმე №132-18  
მოსამართლე --- მიმართ**

**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

--- 2018 წლის 11 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლო-ების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 31 ივლისის №1683/132-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ --- 2018 წლის 11 მაისის №-- საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 31 ივლისის №1684/132-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2018 წლის 12 სექტემბერს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიერ აღძრულ სარჩელს --- მიმართ, ერთჯერადი გამოსასვლელი თანხის ანაზღაურების თაობაზე, განიხილავდა მოსამართლე --- -, რომელმაც გაიზიარა მოპასუხის პოზიცია სარჩელის ხანდაზმულობაზე და არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა.

საჩივრის ავტორი მოსამართლის გადაწყვეტილებას მიიჩნევს უკანონოდ და დაუსაბუთებლად, რასთან დაკავშირებითაც უთითებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელმაც დააკმაყოფილა მისი საჩივარი, გააუქმა მოსამართლე --- გადაწყვეტილება და --- მის სასარგებლოდ დააკისრა ერთჯერადი გამოსასვლელი დახმარების ანაზღაურება.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

--- 2016 წლის 07 ნოემბერს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, --- მიმართ, ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით დარჩენილი დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

--- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 06 მარტის გადაწყვეტილებით, ხანდაზმულობის გამო, --- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. --- აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 03 მაისის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა. -- -- დაევალა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით დარჩენილი დავალიანების და ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 03 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- -- და -- -. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავ კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საქმის მასალების მიხედვით, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- მიერ 2017 წლის 06 მარტს საქმეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა -- -- სარჩელი, რასაც იგი მიიჩნევს უკანონოდ და დაუსაბუთებლად.

ზემოთჩამოთვლილი სამართლებრივი ნორმების ანალიზით, აღნიშნული გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს სასამართლოს მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის შეფასებაც დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია, ისევე როგორც, ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ მიღებული სხვაგვარი გადაწყვეტილება არ შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 12 სექტემბერის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 11 მაისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე - - -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### გადაწყვიტა:

-- -- 2018 წლის 11 მაისის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**